საკრებულოს ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #27

2019 წ. 25 ივნისი 13.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ი. ჯიშკარიანი, ჯ.ჯიშკარიანი, ფ.ინჯია,
ლ. არველაძე, ა.ხუჯაძე, ქ.ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის, სატრანსპორტო საკითხთა კომისიის, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე წადგენილი კანდიდატი გიორგი ებანოიძე. ქონების მართვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ნინო კვეტენაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლ;ია

სხდომის თავმჯდომარე ო. გრიგოლია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი ებანოიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ (20.06.2019;12-0319171114-03)
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ვარკეთილი დიველოფმენთ"-ს შორის „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა - ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების პროექტის იმპლემენტაციის შესახებ" ხელშეკრულების დადების თაობაზე" (03. 06. 2019; N12-031915456-03)

მოისმინეს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ კომისიების წევრებს წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე წადგენილი კანდიდატი გიორგი ებანოიძე. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო კანდიდატის ბიოგრაფია და აღნიშნა, რომ გიორგი ებანოიძის სამუშაო გამოცდილება დაეხმარება მას საქმიანობის სრულყოფილად და ეფექტურად წარმართვისათვის.

ქონების მართვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ვარკეთილი დიველოფმენთ"-ს შორის „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა - ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების პროექტის იმპლემენტაციის შესახებ" ხელშეკრულების დადების თაობაზე" საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 30 იანვრის #19.95.149 განკარგულების საფუძველზე გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნეგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე.

ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ვარკეთილი დიველოფმენთ"-ი. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ვარკეთილი დიველოფმენთ"-ს შორის „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნეგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების პროექტის იმპლემენტაციის შესახებ" ხელშეკრულების დადების თაობაზე" 2019 წლის 22 მაისის # 19.578.744 განკარგულების საფუძველზე შპს „ვარკეთილი დიველოფმენთ"-ს პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით 1 (ერთ) ლარად გადაეცა ქალაქ თბილისის საკუთრებაში არსებული 30205 კვ. მ მიწის ნაკვეთი.

კომისიის სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. საკრებულოს წევრებმა ამომწურავი პასუხები მიიღეს.

ო.გრიგოლიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია